

**თხრობის ტექნიკა და მთხრობელი ჯოზეფ კონრადის რომანებში და
მისი ანალოგი ქართულ ლიტერატურაში**

ნონა მაზიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში
ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

სარჩევი

ქართულენოვანი აბსტრაქტი -----	3
ინგლისურენოვანი აბსტრაქტი -----	4
შესავალი -----	5
თავი 1 ლიტერატურის მიმოხილვა -----	7
თავი 2 თხრობის ჩარჩო -----	11
2.1 თხრობის ჩარჩო და მისი ფუნქცია კონრადის რომანებში -----	11
2.2 თხრობის ჩარჩო მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „გივი შადური“ -----	22
თავი 3 თხრობის არალინეარული პროგრესია (ანაქრონია) -----	24
თავი 4 მთხრობელი, როგორც პერსონაჟი -----	30
4.1 ჩარლი მარლო - მთხრობელი და პერსონაჟი -----	30
4.2 გივი შადური - მთხრობელი და პერსონაჟი -----	35
დასკვნა -----	38
ბიბლიოგრაფია -----	40

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს ჯოზეფ კონრადის მიერ მარლოსეულ თხზულში გამოყენებულ თხრობის ტექნიკას, მარლოს, როგორც მთხრობელის როლს და კონკრეტული ნარატიული ხერხების გავლენას ტექსტის ინტერპრეტირების ხარისხზე. კონრადის შემოქმედებისადმი ნარატოლოგიური ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა 1980-იანი წლებიდან და ბევრი კვლევაც ჩატარებულა ამ მიმართულებით. წინამდებარე ნაშრომი სწავლობს, თუ რა ასახვას პოვებს ქართულ ლიტერატურულ რეალობაში კონრადის მიერ შემუშავებული და გამოყენებული ფორმები. შესაბამისად, გამოყენებულ იქნა კომპარატივისტული მეთოდი კონრადის „ლორდი ჯიმის“ და მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „გივი შალურის“ თხრობის ტექნიკის შესადარებლად. ნაშრომის მთავარი ფოკუსია ამ ორი მწერლის მიერ თხრობის ჩარჩოს, ინტრადიეგეტური მთხრობელებისა და თხრობის სხვადასხვა სტილის უტილიზაცია. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად მთელი რიგი განსხვავებებისა, ამ ორ რომანს ბევრი საერთო ნარატოლოგიური თავისებურება აერთიანებს.

საძიებო სიტყვები: კონრადი, თხრობის ჩარჩო, მთხრობელი, თხრობის ტექნიკა, მარლოსეული თხზული, ჯავახიშვილი.

Abstract

The paper studies the narrative technique used by Joseph Conrad in Marlow fiction, the role of Marlow as a narrator and how certain narrative devices affect the interpretation of his texts. Narratological interest towards Conrad's writings has particularly increased since the 1980s and a number of studies have been carried out in this direction. The following paper studies how literal forms that Conrad developed and used in his works reflect in the reality of Georgian literature. Therefore, comparativistics method was used to examine the juxtapositions of narrative technique of two novels – Conrad's *Lord Jim* and Micheil Javakhishvili's *Givi Shaduri*. The main focus of the paper is the utilization of frame narrative, intradiegetic narrators and different styles of narration by these two writers. As the study has shown, these two novels share quite a few narratological characteristics, in spite of numerous differences.

Key words: Conrad, frame narrative, narrator, narrative technique, Marlow fiction, Javakhishvili